

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N005/20¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ნატო ოსაძე (სტუდენტი)

შეკითხვა

სამოქალაქო, ადმინისტრაციულ საქმეებზე იმ კლიენტებთან, რომელთაც არ გააჩნიათ მატერიალური რესურსი, ადვოკატები სთავაზობენ შემდგომ პირობას - კლიენტის მიერ მიღებული თანხის შეთანხმებული პროცენტი მიეკუთვნება ადვოკატს. წარმოადგენს თუ არა აღნიშნული რისკი წარმატების ჰონორარს და თუ წარმოადგენს არის თუ არა იგი კანონიერი?

სამართლებრივი შეფასება

საადვოკატო მომსახურების ჰონორარის, წამატების ჰონორარის განსაზღვრის საკითხი, უშუალო კავშირშია ადვოკატის ვალეზულებასთან - კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, კლიენტს წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია ჰონორარის გამოთვლის წესზე, რათა მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ ორივე მხარის ინტერესები იყოს დაცული. ეროვნული რეგულაციები, რომლებიც დღეს მოქმედებს, უშუალოდ განსაზღვრავს ჰონორარის ანაზღაურების წესს, თუმცა ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცვის კოდექსისგან განსხვავებით, არ აკონკრეტებს ჰონორარის გონივრულობის საკითხს, მიიჩნევენ რომ მისი დაკონკრეტება ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმების საკითხია. საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით (2016 წლის 21 ნოემბერს საქმე დს-შ/17-16), მიჩნეულია რომ ადვოკატი, როგორც ხელშეკრულების ძირითადი პირობების შემთავაზებელი სუბიექტი, რომელიმე არსებითი პირობის დაუზუსტებლობის შემთხვევაში თავად სწევს სამართლებრივ რისკს. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც წარმატების ჰონორარის განსაზღვრის საკითხი მთლიანად მიმართულია სახელშეკრულებლო ურთიერთობების სწორად განსაზღვრისკენ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე კი ადვოკატები ასეთ ურთიერთობაში დამატებით უზრუნველყოფის საშუალებასაც იყენებენ, კერძოდ იპოთეკა, გირაო, რათა მათ მიერ გაწეული რისკი დაზღვეული იყოს.

დასკვნა

ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმება, კლიენტის მიერ მიღებული თანხის პროცენტის ადვოკატისთვის მიკუთვნების შესახებ, მიიჩნევა წარმატების ჰონორარად, რამეთუ, იგი ეფუძნება კერძო ხელშეკრულებას და ეროვნული რეგულაციების შესაბამისად, სრულიად კანონიერია.

¹ <https://gba.ge/pdf/5f52013f40ad6.pdf/werilobiti%20rekomendacia%20%20005.20%20tarigi%2023.07.20.pdf>